



სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს N 2 გადაწყვეტილება

12.02.24 წ.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
„საერთაშორისო ურთიერთობები“**

- სწავლების საფეხური:** აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
- კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე** კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VI დონე
- ფართო სფერო:** 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Social Sciences, Journalism and Information
- ვიწრო სფერო:** 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
Social and Behavioural Sciences
- დეტალური სფერო:** 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
Political Sciences and Civics
- სწავლების ენა:** ქართული
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
Bachelor of International Relations
- საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი
- პროგრამის ხელმძღვანელი:** სოფო ჩქოფოია, ასოცირებული პროფესორი

პროგრამაზე სწავლის წინაპირობა: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზნები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- (A) შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ცნებების, აქტორების, კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების, ძველი და ახალი დიპლომატიის, გლობალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევების: მიგრაციული პროცესების; საერთაშორისო კონფლიქტებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების, ზესახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, საქართველოს საგარეო პოლიტიკის, მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიების, საჯარო პოლიტიკის პროცესის, სამართლის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების შესახებ;
- (B) გამოუმუშავოს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული საკითხების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტისათვის შესაბამისი მეთოდების მოძიების, საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადების, სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ქართულ და უცხოურ (ინგლისურ და ფრანგულ) ენებზე კომუნიკაციის უნარი.
- (C) გამოუმუშავოს საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით განხორციელების და საკუთარი პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელის საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი= 6000 სთ).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება), საბაკალავრო ნაშრომს (მომზადება და დაცვა). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ., ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრისთვის შესაბამისი ცოდნის და უნარების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სინთეზის საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ, განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

„საერთაშორისო ურთიერთობები“ - ს საბაკალავრო პროგრამა: 240 კრედიტი:

სავალდებულო კომპონენტები: 150 კრედიტი

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კომპონენტი - 150 კრედიტი.

მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 145 კრედიტი
- საბაკალავრო ნაშრომი: - 5 კრედიტი

არჩევითი კომპონენტი - 40 კრედიტი

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი

შენიშვნა: თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სდასუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსები. არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლა - სწავლების მეთოდები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი), ელექტრონული რესურსით სწავლება. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ვერბალურს, დისკუსია-დებატებს, ჯგუფურ (collaborative) მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), თანამშრომლობით სწავლებას (cooperative), შემთხვევის ანალიზს (Case study), გონებრივ იერიშს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, დემონსტრირებას, ინდუქციას, დედუქციას, ანალიზსა და სინთეზს, ახსნა-განმარტებას, ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები ეჩვევიან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>(A) აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითად პრინციპებსა და თავისებურებებს, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს და მასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს, გლობალურ პრობლემებს, ზესახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ცვალებადი საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და თავისებურებებს, საჯარო პოლიტიკის პროცესსა და მეთოდებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილსა და როლს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, დიპლომატიური ეტიკეტის სპეციფიკას, საქმიანი ურთიერთობების, პროტოკოლის და ეტიკეტის როლსა და გამოყენების წესს,</p>
-------------------------------------	---

	<p>მოლაპარაკებების ფუნქციებსა და მნიშვნელობას;</p> <p>(B) განსაზღვრავს საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს, პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მნიშვნელობას.</p>
უნარები	<p>(C) ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაბამისი მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადებას;</p> <p>(D) ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული გლობალური საკითხების იდენტიფიცირებას, კონკრეტული ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას და შეფასებას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;</p> <p>(E) ახდენს რელევანტური წყაროების შერჩევას, სიტუაციების და მონაცემების/ინფორმაციის ანალიზს და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბებას;</p> <p>(F) მონაწილეობს მოლაპარაკებებში (საქმიანი მიმოწერა, კომენტარების და ანგარიშების შედგენა, ელექტრონული კომუნიკაცია და სხვ.) დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით ქართულ და უცხოურ (ინგლისურ და ფრანგულ) ენებზე.</p>
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<p>(G) პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით.</p> <p>(H) გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.</p>

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

დასაქმების სფერო

„საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, საერთაშორისო და ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საელჩოებსა და საკონსულოებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში კანომდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც ხელს უწყობს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართით და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვადაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას; ბაკალავრიატის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია

საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: ELSEVIER (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); eDuke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>), EBSCO Legal Collection, Heinonline <https://home.heinonline.org/content/Legal-Classics/>, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და პერსონალს გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება და სხვ.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მხარდაჭერა. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების (მათ შორის შიდა გრანტი, კონფერენციები და სხვ.), სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსების და სხვა აქტივობების ხარჯები. პროგრამისათვის სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

„საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო

პროგრამის ხელმძღვანელი,

ასოცირებული პროფესორი

ს. ჩქოფოია

„საერთაშორისო ურთიერთობები“-ს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

N	დასახელება	წინაპირობა	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები								
					საკონტაქტო საათები					საათობი დამოუკიდებელი მუშაობის საათები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული/ შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები	11									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	
1. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები -50 კრედიტი																		
1.1	ICT წიგნიერება	-	5	125	-	30	2	32	93	x								
1.2	აკადემიური წერა	-	5	125	15	15	2	32	93	x								
1.3	ინგლისური ენა -1	-	5	125	-	60	2	62	63	x								
1.4	ინგლისური ენა -2	1.3	5	125	-	60	2	62	63		x							
1.5	ინგლისური ენა -3	1.4	5	125	-	60	2	62	63			X						
1.6	ინგლისური ენა-4	1.5	5	125	-	60	2	62	63				x					
1.7	ფრანგული ენა - 1	-	5	125	-	60	2	62	63	X								
1.8	ფრანგული ენა - 2	1.7	5	125	-	60	2	62	63		X							
1.9	ფრანგული ენა - 3	1.8	5	125	-	60	2	62	63			x						
1.10	ფრანგული ენა- 4	1.9	5	125	-	60	2	62	63				x					
2. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი																		
2.1	ფილოსოფიის საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93		x	10 კრედიტი						
2.2	მეტყველების კულტურა	-	5	125	15	30	2	47	78		x							
2.3	სოციოლოგია	-	5	125	16	14	2	32	93		x							
2.4	ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93		x							
2.5	დემოკრატია და მოქალაქეობა	-	5	125	15	15	2	32	93		x							
3. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 კრედიტი																		

3.1	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 1	1.6	5	125	-	60	2	62	63						x			
3.2	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 2	3.1	5	125	-	60	2	62	63							x		
3.3	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 3	3.2	5	125	-	60	2	62	63								x	
3.4	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 4	3.3	5	125	-	60	2	62	63									x
3.5	ფრანგული ენა (დარგობრივი)- 1	1.10	5	125	-	60	2	62	63						x			
3.6	ფრანგული ენა (დარგობრივი)- 2	3.5	5	125	-	60	2	62	63							x		
3.7	ფრანგული ენა (დარგობრივი) -3	3.6	5	125	-	60	2	62	63								x	
3.8	ფრანგული ენა (დარგობრივი) - 4	3.7	5	125	-	60	2	62	63									x
3.9	პოლიტიკის ძირითადი ცნებები	-	5	125	15	30	2	47	78	x								
3.10	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	-	5	125	16	29	2	47	78	x								
3.11	დიპლომატიის ისტორია	-	5	125	15	30	2	47	78		x							
3.12	თანამედროვე დიპლომატია	-	5	125	16	29	2	47	78		x							
3.13	მსოფლიო უახლესი ისტორია	3.11	4	100	15	15	2	32	68			x						
3.14	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	3.10	5	125	15	30	2	47	78			x						
3.15	გლობალური პოლიტიკა	3.9	5	125	16	29	2	47	78			x						
3.16	საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	-	5	125	15	30	2	47	78				x					
3.17	მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიები და უნარები	3.12	5	125	15	30	2	47	78				x					

3.18	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	3.15	5	125	15	30	2	47	78					x				
3.19	საერთაშორისო საჯარო სამართალი	-	5	125	15	29	2	46	79						x			
3.20	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	3.15	4	100	15	15	2	32	68						x			
3.21	საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი	-	5	125	15	30	2	47	78						x			
3.22	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	3.19	5	125	16	27	2	47	78							x		
3.23	საერთაშორისო კონფლიქტები და საერთაშორისო უსაფრთხოება	3.15	5	125	15	30	2	47	78							x		
3.24	ევროპის საგარეო პოლიტიკა	3.15	5	125	15	30	2	47	78							x		
3.25	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	3.19	4	100	15	15	2	32	68								x	
3.26	შესავალი კვლევის მეთოდებში	1.2	5	125	15	30	2	47	78								x	
3.27	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	3.15	5	125	15	30	2	47	78								x	
3.28	ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო ურთიერთობებში	-	5	125	15	30	2	47	78									x
3.29	საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	3.19	4	100	15	15	2	32	68									x
3.30	Modern International Migration	3.23 3.3	4	100	15	15	2	32	68									x
3.31	საბაკალავრო ნაშრომი	3.1-3.3; 3.5-3.7; 3.9-	5	125	-	-	-	30	95									x

		3.27																
4. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი																		
4.1	პოლიტიკური ფსიქოლოგია	-	5	125	15	30	2	47	78	5 კრედიტი	x							
4.2	საზოგადოებასთან ურთიერთობა	-	5	125	15	15	2	47	78		x							
4.3	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	3.13	5	125	15	30	2	47	78		x							
4.4	პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში	3.10	5	125	15	15	2	32	93	5 კრედიტი	x							
4.5	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	3.9	5	125	15	15	2	32	93		x							
4.6	საჯარო მმართველობის საფუძვლები	-	5	125	15	30	2	47	78		x							
4.7	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	-	5	125	15	30	2	47	78	5 კრედიტი	x							
4.8	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	-	5	125	15	29	2	46	79		x							
4.9	ნაციონალიზმი და გლობალიზაცია	3.15	5	125	15	15	2	32	93	5 კრედიტი	x							
4.10	ქართული ემიგრაცია ევროპაში	-	5	125	15	15	2	32	93		x							
4.11	გეოპოლიტიკა	3.15	5	125	15	30	2	47	78		x							
4.12	საერთაშორისო ტერორიზმი	3.15	5	125	16	14	2	32	93	5 კრედიტი	x							
4.13	რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში	-	5	125	15	15	2	32	93		x							
4.14	პოლიტიკური იდეოლოგიები	3.9	5	125	15	30	2	47	78		x							
4.15	პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია	3.9	5	125	15	15	2	32	93		x							

4.16	ჩინეთის საგარეო პოლიტიკა	3.15	5	125	15	15	2	32	93		x
4.17	ორგანიზაციული ქცევა	-	5	125	15	15	2	32	93		x

** შენიშვნა: 1) საბაკალავრო ნაშრომისთვის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო საათების განაწილების განრიგი დაზუსტდება უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკის და სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2) საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 235 კრედიტის მიღება.*

კურიკულუმის რუკა

N	სავალდებულო კომპონენტები	სწავლის შედეგები							
		ცოდნა და გაცნობიერება		უნარი				პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
	სასწავლო კურსი / კომპონენტი	A	B	C	D	E	F	G	H
1.	ICT წიგნიერება						1,2,3		
2.	აკადემიური წერა						1		
3.	ინგლისური ენა -1						1		
4.	ინგლისური ენა -2						1		
5.	ინგლისური ენა -3						1		
6.	ინგლისური ენა-4						1		
7.	ფრანგული ენა - 1						1		
8.	ფრანგული ენა - 2						1		
9.	ფრანგული ენა - 3						1		
10.	ფრანგული ენა - 4						1		
11.	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 1	1					2		
12.	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 2	1					2		
13.	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 3	2					2		
14.	ინგლისური ენა (დარგობრივი) - 4	2					3		
15.	ფრანგული ენა (დარგობრივი) - 1	1					2		
16.	ფრანგული ენა (დარგობრივი) - 2	1					2		

17.	ფრანგული ენა (დარგობრივი) - 3	2					2		
18.	ფრანგული ენა (დარგობრივი) - 4	2					3		
19.	პოლიტიკის ძირითადი ცნებები	1	1			1	1		1
20.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	1	1			1	1		1
21.	დიპლომატიის ისტორია	1	1			1	1		1
22.	თანამედროვე დიპლომატია	2	2	1	1	1	1	1	1
23.	მსოფლიო უახლესი ისტორია	1	1			1	1		1
24.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	2,3	2,3			1	1		1
25.	გლობალური პოლიტიკა	1	1	1	1	1	1		1
26.	საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	2	2	1	1	1	1		1
27.	მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიები და უნარები	2,3	2,3	2	2	1	1	1	1
28.	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	2	2	2	2	1	1		1
29.	საერთაშორისო საჯარო სამართალი	1		1		1	1		1
30.	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	1	1			1	1		1
31.	საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი	2	2	2	2	2	2	1	2
32.	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	2	1		2	2	2		2
33.	საერთაშორისო კონფლიქტები და საერთაშორისო უსაფრთხოება	2	2	2	2	2	2		2
34.	ევროპის საგარეო პოლიტიკა	2	2			2	2		2
35.	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	2	2	2	2	2	2		2
36.	შესავალი კვლევის მეთოდებში	2	2	2	2	2	2	2	2
37.	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	2	2			2	2		2
38.	ახლო აღმოსავლეთი	3	3	3	3	3	3		3

	საერთაშორისო ურთიერთობებში								
39.	საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	3	3	3		3	3		3
40.	საერთაშორისო თანამედროვე მიგრაცია (ინგლისურ ენაზე)	3	3			3	3		3
41.	საბაკალავრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი

სასწავლო კურსი	სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი
პროფესორები:	
პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში	გურამ მარხულია
პოლიტიკური იდეოლოგიები	
საერთაშორისო ტერორიზმი	
ქართული ემიგრაცია ევროპაში	
პოლიტიკის ძირითადი ცნებები	მერი გაბედავა
პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია	
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	მარინა მესხი
ასოცირებული პროფესორები:	
ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	მარინა იზორია
პოლიტიკური ფსიქოლოგია	
საქართველოს საგარეო პოლიტიკა	
შესავალი კვლევის მეთოდებში	
ორგანიზაციული ქცევა	სოფო ჩქოფოია
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	
საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	
ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობები	
საერთაშორისო კონფლიქტები და საერთაშორისო უსაფრთხოება	
მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიები და უნარები	ნინო ოთხოზორია
დიპლომატიის ისტორია	
მსოფლიო უახლესი ისტორია	
ჩინეთის საგარეო პოლიტიკა	
თანამედროვე დიპლომატია	
აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	თამარ ჩაჩანიძე
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	
აკადემიური წერა	ხატია შევარდნაძე ირინე მანიჟაშვილი
მეტყველების კულტურა	
ფილოსოფიის საფუძვლები	მანანა გაგოშიძე
დემოკრატია და მოქალაქეობა	ხათუნა ჩარკვიანი
ინგლისური ენა - 1	ინგა კოკაია
ინგლისური ენა - 2	
ინგლისური ენა - 3	
ინგლისური ენა - 4	
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 1	ნესტან აკობია,
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 2	
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 3	

ინგლისური ენა (დარგობრივი) - 4	
საერთაშორისო საჯარო სამართალი	ნონა კალანდაძე
დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	
საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	
ასისტენტ-პროფესორები:	
საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	ანა მოდებაძე
ნაციონალიზმი და გლობალიზაცია	
საქართველოს პოლიტიკური სისტემა	
გეოპოლიტიკა	ჟანეტა კილასონია
სოციოლოგია	
მოწვეული პერსონალი	
საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი	მაია წურჭუძია
საჯარო მმართველობის საფუძვლები	
საზოგადოებასთან ურთიერთობა	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	ნინო ცერცვაძე
რუსეთის საგარეო პოლიტიკა	ემილია ალავერდოვა
გლობალური პოლიტიკა	
საერთაშორისო თანამედროვე მიგრაცია (ინგლისურ ენაზე)	
ევროპის საგარეო პოლიტიკა	
რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში	
საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართალი	ნინო სულაბერიძე
აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	კატერინა ტრიმა
ინგლისური ენა - 1	თამარ ხეცურიანი
ინგლისური ენა - 2	
ინგლისური ენა - 3	
ინგლისური ენა - 4	
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 1	
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 2	
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 3	
ინგლისური ენა (დარგობრივი) - 4	
ფრანგული ენა - 1	რუსუდან ტყემელაშვილი
ფრანგული ენა - 2	
ფრანგული ენა - 3	
ფრანგული ენა - 4	
ფრანგული ენა (დარგობრივი) - 1	
ფრანგული ენა (დარგობრივი) - 2	
ფრანგული ენა (დარგობრივი) - 3	

ფრანგული ენა (დარგობრივი) - 4	
ICT წიგნიერება	გიორგი ლილუაშვილი